

ტექნიკური დავალება

ქალაქ ქუთაისში, დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის რეაბილიტაცია-გაფართოების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურება.

მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება

"დავით კაკაბაძის სახელობის" სახვითი ხელოვნების გალერეა მდებარეობს ქ. ქუთაისში, რუსთაველის გამზ. N8-ში (საკადასტრო კოდით: 03.03.21.432) და მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. შენობა ორსართულიანია და წარმოადგენს კლასიკური ტიპის ნაგებობას, დამახასიათებელი თაღოვანი ფორმებითა და ფასადზე მოწყობილი არქიტექტურული ელემენტებით.

წინამდებარე დავალება მოიცავს ქ. ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მრავალფუნქციური საგამოფენო შენობის შექმნისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებას. ახალი მოცულობები უნდა შეესატყვისებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს, იყოს მსუბუქი კონსტრუქციის და ტექნოლოგიურად განსხვავებული მასალის; მნიშვნელოვანია ძეგლის სიძველესთან ახალი მიშენება-გაფართოების კონსტრუქციების დაბალანსებული დაკავშირების გადაწყვეტის მოძიება, ასევე ახალი გადაწყვეტა არ უნდა აკნინებდეს ძეგლის მნიშვნელობას, ორგანულად უნდა ერწყმოდეს არსებული შენობის ერთიან მოცულობას და ურბანული გარემოს.

ვინაიდან გალერეის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ამიტომ რესტავრაციისას უნდა შენარჩუნდეს/აღდგეს ისტორიული იერსახე. ყველა აუთენტური არქიტექტურული ელემენტი შენობის ექსტერიერსა თუ ინტერიერში უნდა დაფიქსირდეს, დეტალურად აიზომოს და აისახოს ფოტო მასალაზე. რესტავრაციის დროს ამ დეტალებს უნდა ჩაუტარდეს აღდგენა და მაქსიმალურად შენარჩუნდეს ყველა სალი ელემენტი.

პროექტირებისას ყურადღება უნდა მიექცეს საპროექტო ტერიტორიის განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას, გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი კლიმატური ფაქტორები და შესაბამისი დატვირთვები შენობაზე, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მონაცემების საფუძველზე. მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ახალი შენობის (მიშენება-გაფართოება) არსებულ გარემოში ინტეგრირება. შენობა არ უნდა იყოს ამოვარდნილი კონტექსტიდან და არ უნდა არღვევდეს ქალაქის იერსახეს.

გამომდინარე იქიდან, რომ გალერეა განიცდის ფართის ნაკლებობას, საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის შიდა ეზოს და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შიდა ტერიტორიის განვითარების მიშენება-გაფართოების ოპტიმალური ვარიანტის გადაწყვეტა (დამატებითი ფართების განთავსების მიზნით) ასევე გალერეის შემადგენლობაში უნდა შევიდეს საგამოფენო სივრცეები, ფონდსაცავები,

სარესტავრაციო ლაბორატორია, საგანმანათლებლო ცენტრი და სხვადასხვა საზოგადოებრივი სივრცეები.

პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე მასალების და კონსტრუქციების გამოყენება.

პროექტი უნდა მოიცავდეს ზოგად ინსტრუქციებს და რეკომენდაციებს მომავალი კონსტრუქციებისთვის შენობის სამშენებლოდ, ისევე როგორც დეტალურ სპეციფიკაციებს გამოყენებული მასალის, მუშაობის მეთოდებისა და ხარისხის გასაკონტროლებლად.

შესასრულებელის სამუშაოების აღწერა შენობის მახასიათებლები

ქ. ქუთაისში გალერეის რეაბილიტაციისა და გაფართოების პროექტის შედგენისას გასათვალისწინებელია ის ურბანულ-კულტურული გარემო, რომელშიც უნდა განთავსდეს ეს შენობა. დასაპროექტებელია სამუზეუმო სივრცის ზონირება, დასაგეგმია საზოგადოებრივი სივრცეები და მასზე მიბმული დროებითი თუ მუდმივი საგამოფენო სივრცეები, გასათვალისწინებელია მათ მიმართებაში სავაგების განლაგება და საგამოფენო სივრცეებში მოძრაობის მარშრუტები. მუზეოგრაფია და სივრცეების შიდა ფორმატი ადაპტირებული უნდა იყოს თანამედროვე მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად.

პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს გარე ინფრასტრუქტურის - ეზოს კეთილმოწყობა (სკამები, ნაგვის ყუთები, მანიშნებლები, და ა.შ.).

ესკიზურ საპროექტო დოკუმენტაციაზე მუშაობის დაწყებამდე უნდა მოხდეს გალერეის შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა. გაანალიზებული უნდა იყოს არსებული ტერიტორიისა და შენობის განვითარების ეტაპები. სრულყოფილი არქიტექტურული გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია მასშტაბის, ფორმის, სტრუქტურის (კონსტრუქციის), სამშენებლო მასალის და ფერის გათვალისწინება.

გათვალისწინებული უნდა იყოს შენობასთან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - ავტოსადგომი მსუბუქი ტრანსპორტისათვის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის).

გალერეის შენობის გარე და შიდა სივრცეები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ მქონე პირთათვის.

აუცილებელია დაკონკრეტდეს სპეცტრანსპორტის (სახანძრო მანქანის, სასწრაფოს და ა.შ.) წვდომისა და გაჩერების ადგილები. ტრანსპორტის გადაადგილების სქემა უნდა დაიგეგმოს მიმდებარე ქუჩებთან და სატრანსპორტო მოძრაობასთან შესაბამისობაში.

გალერეა უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე საინჟინრო მოწყობილობებით. გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტროენერჯისა და წყლის მომარაგების, კანალიზაციის, გათბობა - კონდიციონერების, ვენტილაციის, სახანძრო სიგნალიზაციისა და უსაფრთხოების სისტემები.

უნდა დამონტაჟდეს მოძრაობის სენსორები, დეტექტორები (მაგ. მინის გატეხვისას და სხვა), შეღწევის აღმომჩენი სისტემა, საკეტების და გასაღების შერჩევის სისტემა. ვიდეოთვალთვალის სისტემები, თანამშრომლების და დამთვალეობების წვდომის კონტროლი, საცავების ზონის დაცვა, ვიტრინების დაცვა, გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის/ტენიანობის კონტროლის სისტემები, ჰაერის ფილტრაციის სისტემები, განათების სისტემები, ცეცხლსაწინააღმდეგო სისტემები, წვის კოეფიციენტი (მასალა), შესასწავლია ცეცხლის გავრცელების სიჩქარე, წყლის ჭავლები, საევაკუაციო გეგმა და საშუალებები (იარაღები) - ისეთი, როგორც საავარიო გასასვლელები და თავშეყრის ზონები, სასერვერო და სუსტი დენების ხაზების ქსელი, გენერატორისა და გარე აგრეგატების განთავსების ზონები. შეკუმშული ჰაერის სისტემები. ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლქრობის სისტემები შენობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საჭიროა სელექტორული კავშირის, ტელეფონის, ელექტროგაყვანილობების სწრაფი გათიშვის სისტემების მოწყობა. გასათვალისწინებელია კომპიუტერული და დაცვის სისტემების ელ. მომარაგების მუდმივი წყაროს და საავარიო/სარეზერვო კვების წყაროს, გენერატორისა და ბატარეების მოწყობა. ასევე გასათვალისწინებელია ძაბვის ცვლილებისგან დამცავი სისტემები და ელექტრო უსაფრთხოების სხვა ზომები ევრო სტანდარტების შესაბამისად.

გასათვალისწინებელია შენობის აკუსტიკური მახასიათებლები და შესაბამისი მასალები, ხმაურის დონეები, სათავსოების შიგნით და გარეთ. საჭიროა გარემოს კონტროლი და კოლექციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუზეუმო სტანდარტების დაცვა. გასათვალისწინებელია ტექნიკური გადაწყვეტები ყველა საჭირო გაყვანილობების და დანადგარების მარტივი ექსპლუატაციისა და მონტაჟისთვის.

აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებების გათვალისწინება (პანდუსები, ლიფტები ან სხვ.) და პროექტი უნდა დამუშავდეს საქართველოს მთავრობის N41 (2014 წლის 6 იანვარი) დადგენილების მიხედვით.

შენობის ზონირება და სივრცეები

საჯარო და საინფორმაციო ზონა (ვიზიტორებისთვის ღია)

წინასწარი გათვლით სივრცეების განაწილების საორიენტაციო გზები და არასრული ჩამონათვალი

- ჰოლი - ვიზიტორების მისაღები სივრცე - ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი სივრცე - შესაძლებელი უნდა იყოს ერთდრულად რამდენიმე ჯგუფის მიღება;
- სალარო და საინფორმაციო კუთხე - 2 სამუშაო ადგილის გათვალისწინებით + სივრცე საინფორმაციო დანიშნულების მქონე მასალის განსათავსებლად (ბროშურები და ა.შ.);
- ტექნოლოგიური კუთხე - შესამჩნევ ადგილზე ჰოლში (ინტერაქტიული ეკრანი);
- სახელმწიფო დაცვის სამსახურის კუთხე - 1 სამუშაო ადგილის მოწყობის გათვალისწინებით;
- გარდერობი - ტანსაცმლის, დიდი ზომის ჩანთების, ქოლგებისა და საგამოფენო დარბაზებში აკრძალული სხვა ინვენტარის მისაღებად;
- სველი წერტილები - სველი წერტილები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ვიზიტორებისთვის;

- გიდეებისა და ზედამხედველების ოთახი - სამუშაო ადგილი 2-3 ადამიანისთვის. სასურველია ჰოლის მიმდებარედ.

შენიშვნა: საზოგადოებრივ სივრციდან მომხმარებელს პირდაპირი წვდომა უნდა ჰქონდეს სალაროსთან და საინფორმაციო სივრცესთან, ტექნოლოგიური კუთხესთან, დაცვის სამსახურთან, გარდერობთან, სველი წერილებთან, გიდეების ოთახთან, ლიფტთან და კიბის უჯრედთან. საზოგადოებრივი სივრცეში ნებისმიერი ვიზიტორი ბილეთის ყიდვის გარეშე გადაადგილდება და სარგებლობს სხვადასხვა სერვისებითა თუ ინფორმაციით.

ექსპოზიციების ზონა (ვიზიტორებისთვის ღია)

გალერეის მუდმივმოქმედი გამოფენების დარბაზები უნდა დაიგეგმოს შენობის არქიტექტურული თავისებურებების გათვალისწინებით. გალერეას უნდა ჰქონდეს მუდმივმოქმედი ექსპოზიციის დარბაზი და ასევე დროებითი ექსპოზიციების დარბაზი სამუზეუმო ექსპონატების დროებითი გამოფენებისთვის. მუდმივმოქმედი და დროებითი ექსპოზიციის სივრცეები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა უკავშირდებოდეს გალერიის შემოსასვლელს (საზოგადოებრივ სივრცეს).

მუდმივმოქმედი ექსპოზიციის დარბაზი უნდა წრამოდგენდეს ერთიან სივრცეს, სადაც სამუზეუმო გრიფისა და კონცეფციის შესაბამისად განთავსდება სამუზეუმო ექსპონატები. მუდმივმოქმედი ექსპოზიციების სივრცე, რომლის ზონირება და საგამოფენო კონცეფცია დამუშავდება გალერეის მიერ (შესაბამისად ესკიზურ და დეტალურ პროექტში საგამოფენო სივრცეების დამუშავებაში უშუალოდ ჩართული იქნება გალერეის მენეჯმენტი).

მუდმივმოქმედ და დროებით ექსპოზიციებში სივრცეების განათებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ექსპოზიციის შინაარსი. საინტერპრეტაციო ფართობი უნდა ხასიათდებოდეს ერთი საერთო პირობით - მათი დაგეგმარება უნდა მოხდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს მნახველის მიერ ხელოვნების ნიმუშების, არტეფაქტების, სათამაშო მოწყობილობების თუ სამეცნიერო აპარატების, ოპერატიული ინფორმაციისა და ციფრული გამოსახულებების გაცნობას შემდეგი ფაქტორების გამოყენებით:

- ფართი;
- განათება და ფერი;
- სტრუქტურა;
- მასალები და ზედაპირის მოპირკეთება.

შუქი საგამოფენო დაბრაზებში შეიძლება მოხდეს ორი გზით: ზედა განათება, რომელიც ვერტიკალურად ეცემა ჭერიდან ან სახურავში მოწყობილი სარკმლებიდან, გვერდითი განათება, რომელიც ჰორიზონტალურად ვრცელდება ფანჯრების გავლით. სამუზეუმო კოლექციების შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდებულია მხოლოდ ზედა განათების გამოყენება. ასევე, ხელოვნების ნაწარმოებთა ან არტეფაქტების ისეთ სივრცეში გამოფენისას, რომელსაც აქვს ფანჯრები, რეკომენდებულია მათი სრულად ჩაბნელების შესაძლებლობის ქონა, შესაბამისად სასურველია დაგეგმვისას სწორად იყოს გათვალისწინებული განათების წყარო და თავისებურებები.

დროებითი გამოფენების დარბაზი - გალერეას ასევე უნდა ჰქონდეს დროებითი გამოფენების დარბაზი, რომელიც არ უკავშირდება სამუზეუმო ექსპონატებს, მაგრამ წარმოადგენს გალერიის ნაწილს. დროებითი საგამოფენო დარბაზი უნდა დაიგეგმოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მუშაობა გალერიის არასამუშაო საათების დროსაც. დროებით საგამოფენო დარბაზში შესაძლოა მოეწყოს სხვადასხვა ტიპის გამოფენა/პრეზენტაცია, რომელიც არ უკავშირდება სამუზეუმო კოლექციებს, მაგრამ იძლევა კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების წარდგენის შესაძლებლობას. დროებითი გამოფენების სივრცეს პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს გალერიის შემოსასვლელთან (საზოგადოებრივ სივრცესთან).

ფონდების და კოლექციების ზონა (ვიზიტორებისთვის დახურული)

ა) კოლექციების სათავსი - სივრცე უნდა იყოს გათვლილი კოლექციების შენახვის, დაცვის, მათზე წვდომის სტანდარტების და მოთხოვნების გათვალისწინებით. უნდა იყოს გათვალისწინებული კოლექციების მომავალი ზრდის შესაძლებლობაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გათბობა-გაგრილების, ვენტილაციისა და საჭიროების შემთხვევაში, ტენიანობის რეჟიმებს. აუცილებელია შენობა-ნაგებობის დათბუნება.

საცავები, ლაბორატორია და კოლექციების მიღების ტერიტორია (კარანტინის ზონით) პროექტირების სტადიაზე უნდა დაზუსტდეს შემსყიდველთან ერთად. უნდა მოეწყოს ნივთების მიღების და სადეზინფექციო სივრცე, სახელოსნო, კონტეინერების და შეფუთვის ოთახი.

შენიშვნა:

- ა) სარესტავრაციო ლაბორატორიაში უნდა იყოს წყლის მომარაგება;
- ბ) შენობაში უნდა გაკეთდეს ლიფტი, უშუალო წვდომით საზოგადოებრივ სივრცესთან და 41-ე დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში;
- გ) ფონდებისა და კოლექციების ზონა უნდა იყოს დამთვალეიერებლისგან დახურული, ასევე შესასვლელისგან იზოლირებული და უნდა კონტროლდებოდეს ვიდეო სამთევალყურეო მონიტორინგის სისტემით.

საცავში დაგეგმილია სხვადასხვა ორგანული და არაორგანული მასალისგან შემდგარი ნივთების შენახვა. აქედან გამომდინარე, დაცული უნდა იყოს მუდმივი ტემპერატურული და ფარდობითი ტენიანობის რეჟიმი. სხვადასხვა სახის მასალის ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში, საცავში ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს კომპლექსური მასალის შენახვის რეჟიმს. საცავში ჰაერის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს ხელოვნების ნიმუშების შენახვის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ტემპერატურას (ცელსიუსის შკალით). განათება უნდა იყოს ორგვარი: სამუშაო (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად) და ნივთების დაცულობის შესამოწმებელი (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად); ფარდობითი ტენიანობა - გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სახვითი ხელოვნების ნიმუშების მუზეუმისთვის.

შენობაში ასევე უნდა განთავსდეს კოლექციების მიმღები ე.წ კარანტინის ოთახი, სადაც უნდა მოეწყოს შესაბამისი ფართი მასალის რეცხვის შესაძლებლობით. ამის გარდა, აქვე უნდა განთავსდეს ყველა ის ტექნიკური სივრცე, (სახელოსნო, სარესტავრაციო სივრცე) რომელიც

გალერეას ესაჭიროება სრულყოფილი საგამოფენო/სამუზეუმო ფუნქციონირებისათვის: ჩარჩოების დამზადება, მარტივი საკონსერვაციო-სარესტავრაციო პროცედურები, და ა.შ.

კარანტინის ოთახსა და სახელოსნოს უნდა ჰქონდეს კავშირი ფონდსაცავებთან და გააჩნდეს დამოუკიდებელი შესასვლელი.

უნდა მოეწყოს სამუშაო ოთახი ელემენტარული საფონდო საქმიანობისათვის: ნივთების დოკუმენტირების - საცავში მიღების და გატანის აღრიცხვის საწარმოებლად და იქვე უნდა მოხდეს ფოტო ფიქსაციის მცირე ლაბორატორიის განთავსება.

საცავი (როგორც, მთლიანად შენობა) უნდა აღიჭურვოს ვენტილაცია-კონდიციონერების და ჰაერის მიწოდება-ფილტრაციის (შეტანა-გატანა-ფილტრაცია) სისტემით. ფონდსაცავში უნდა დაიგეგმოს და გაკეთდეს ელექტროობის კომუნიკაციები, სუსტი დენები. აუცილებელია 24 საათიანი დენის წყაროს უზრუნველყოფა.

საცავი უნდა აღიჭურვოს დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სისტემებით: 24 საათიანი ვიდეო-მეთვალყურეობით და სიგნალიზაციით, მოძრაობისა და ვიზრაციის დეტექტორებით. ასევე საჭიროა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დაპროექტება და მოწყობა გალერეის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გალერეის სარდაფებს უნდა გაუკეთდეს იზოლაცია, როგორც მთელ შენობაში, აქაც უნდა მოეწყოს გათბობა-გაგრილების და ვენტილაცია-ჰაერცვლის სისტემები, დაცვის სისტემები და ა.შ. სარდაფში შესაძლოა განთავსდეს გალერიისთვის საჭირო სხვადასხვა სივრცეები, რომლებიც არ შეუქმნის რისკს ხელოვნების ნიმუშებს და ადამიანებს სხვადასხვა მიზეზების გამო (სახანძრო/საევაკუაციო გზების სირთულე, ნესტი და ა.შ.).

ადმინისტრაცია და ტექნიკური სათავსების ზონა (ვიზიტორებისთვის დახურული)

გალერეაში უნდა განლაგდეს ადმინისტრაციული ოთახები, რომლების შემადგენლობაში შევა:

- კურატორის ოთახი - არანაკლებ 20 კვადრატული მეტრისა;
- კანცელარია - არანაკლებ 15 კვადრატული მეტრისა;
- სამუშაო ოთახი თანამშრომლებისთვის- არანაკლებ 25 კვადრატული მეტრისა;
- შეხვედრების ოთახი ადმინისტრაციის მიმდებარედ - არანაკლებ 30 კვადრატული მეტრისა;
- კოლექციების მიღების ოთახი (კარანტინის ზონით)- არანაკლებ 40 კვადრატული მეტრისა;
- სახელოსნო -გამოფენებისთვის მოსამზადებელი ოთახი- არანაკლებ 60 კვადრატული მეტრისა;
- სველი წერტილები თანამშრომლებისათვის - ქალები, მამაკაცები და შშმ პირებისათვის;
- დაცვის ზონა 24 საათიანი მონიტორინგისთვის, მოსასვენებელი სივრცით - ვიდეო-ზედამხედველობის მონიტორების აღჭურვილობით;
- საწყობი - ტექნიკური ფართი - არანაკლებ 30 კვადრატული მეტრისა;
- სამეურნეო ოთახი - არანაკლებ 15 კვადრატული მეტრისა;
- დამლაგებლის ოთახი - ერთი ასეთი ოთახი უნდა იყოს ყველა სართულზე - არანაკლებ 6-7 კვ.მ. ფართობის სივრცე, წყლის წერტილით, კანალიზაციაზე დაერთებით. ამავე

ოთახებში უნდა მოეწყოს ცალკე საწყობი კუთხე რკინის ცეცხლგამძლე კარადით (ადვილად აალებადი საწმენდი საშუალებებისთვის).

სივრცეები ტექნიკური დანადგარებისთვის

უნდა მოეწყოს სპეციალური სივრცეები ელექტროობის სისტემებისთვის, გათბობის-ვენტილაციის-კონდიციონერების სისტემებისთვის, კლიმატის რეგულირების მოწყობილობებისთვის და ა.შ.

საპროექტო ჯგუფმა უნდა განსაზღვროს გარე აგრეგატების და საგენერატორის განთავსების ადგილები და დაასაბუთოს ადგილმდებარეობის შერჩევის მიზეზები.

სტანდარტები

პროექტი მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ასევე ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს მინიმუმ მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ (2001 წლის 11 ივლისი).
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის N3/121 ბრძანება- ინსტრუქცია საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ.
- СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
- Interior Graphic Standards Second Edition Corky Binggeli, ASID Editor-in-chief The Magnum Group Illustrator John Wiley & Sons, INC;
- The Architects' Handbook. Edited By Quentin Pickard, RIBA;
- Metric Handbook, Planning and Design Data. Edited by David Adler. Second edition (as Metric Handbook) 1999;
- Ernst end Peter Neufert, Architect's Data. Third Edition, Blackwell Science;
- School Buildings Construction and Design Manual Edited by Natascha Meuser With contributions by Hans Wolfgang Hoffmann, Thomas Muller and Jochen Schneider;
- Offices Construction and Design Manual Ansgar Oswald With an introduction by Hajo Eickhoff;
- Spaces for Innovation Kursty Groves and Oliver Marlow.
- საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- СНиП 41-01-2003 Отопление, вентиляция и кондиционирование;
- СНиП 2.04.01-85* Внутренний водопровод и канализация зданий;
- СП 31-110-2003 Проектирование и монтаж электроустановок жилых и общественных зданий;
- ПУЭ Правила устройства электроустановок;
- ППБ-0-148-87. Правила пожарной безопасности для спортивных сооружений;

- СП 1.13130.2009, СП 2.13130.2012, СП 4.13130.2009. Системы Противопожарной Защиты;
- СП 52.13330.2011. Естественное и искусственное освещение Актуализированная редакция СНиП 23-05-95*;
- BS EN 12193:2007 Light and lighting. Sports lighting;
- NFPA (National Fire Protection Association) Codes and Standards;
- სეისმომედეგი მშენებლობა – (პნ 01.01-09);
- შენობის და ნაგებობის ფუძეები – (პნ 02.01-08);
- ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები – (პნ 03.01-09);
- სამშენებლო კლიმატოლოგია – (პნ 01.05-08);
- წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები – (მწ 07.01-09);
- IEC (International Electrotechnical Commission) Standards.

მომსახურების ეტაპები:

გასაწევი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები:

გასაწევი მომსახურება შედგება 4 (ოთხი) ეტაპისგან:

- I ეტაპი - საძიებო - კვლევითი სამუშაოების განხორციელება;
- II ეტაპი - ესკიზური პროექტის მომზადება;
- III ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- IV ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა.

შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი:

დავალების ფარგლებში უნდა ჩატარდეს:

- ზემოაღნიშნული ობიექტის კვლევა, ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება;
- კვლევისა და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგების საფუძველზე მათი რეაბილიტაცია/ადაპტაცია/გაფართოებისთვის აუცილებელი სამუშაოების განსაზღვრა;
- "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია; ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება;
- პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან;
- ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

სტანდარტები:

საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

მომსახურების გაწევისას აუცილებელი სპეციალისტები:

დავალებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი. ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქვემოთ მითითებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ძირითადი სპეციალისტების ჩართვა.

1. გუნდის ხელმძღვანელი – არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
2. არქიტექტორ-რესტავრატორი – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
3. ხელოვნებათმცოდნე – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;
4. ინჟინერ-კონსტრუქტორი – სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილებით;

აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველის დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების ჩანაცვლება სხვა, უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით.

ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, მომსახურების დროულად დასრულების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ძირითადი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სტანდარტები:

I ეტაპი - კვლევითი სამუშაოები

მომსახურების I ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს - საძიებო სამუშაოების ჩატარება და საპროექტო ტერიტორიის კვლევა. ობიექტის პირველადი მონახულება, უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. ინფორმაციის მოსაპოვებლად სასურველია სამუშაო პროცესში ჩართული იყოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური. ასევე, შემსყიდველი უზრუნველყოფს ობიექტის პირველადი შესწავლის პროცესში ჩართული იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები.

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

- განმარტებითი ბარათი (არსებული მდგომარეობის და საპროექტო წინადადების დეტალური აღწერით);
- სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);

- საპროექტო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება (ტოპო-გეგმა UTM კოორდინატთა სისტემით მ. 1:200) საკადასტრო საზღვრებითა და საინჟინრო ქსელების დატანით;
- საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგეგმაზე დატანით, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით);
- საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა მ. 1:2000 ან 1:1000;
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები - ტექნიკური ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, შედეგების დამუშავება და დასკვნები);
- ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში(საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია და სქემები კომუნიკაციების თაობაზე - სასმელი წყალი, კანალიზაცია, ელექტრობა, გაზი - მათი დატანით ტოპოზე;
- პირველადი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები მითითებული ტერიტორიის განვითარების თაობაზე;
- შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა და დასკვნა კონსტრუქციულ მდგრადობაზე;
- ტერიტორიის გენ. გეგმა სატრანსპორტო და საფეხმავლო კავშირების, ავტოსადგომის, გამწვანების დატანით;
- დავით კაკაბაძის სახელობის გალერეის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ნახაზები _ მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები _ მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები _ მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);
- ზონდირების შემთხვევაში ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
- მიწის სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური ზედამხედველობა და შესაბამისი კვლევის შედეგები (საჭიროების შემთხვევაში საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა, კროკები, გამოხაზული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);
- რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
- პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური ანალიზი, ყველა შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვით. პრობლემებისა და რისკების ანალიზის, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების (მათ შორის ფინანსური მასშტაბების, წინასწარი ბიუჯეტით), განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით;
- სამიუზეო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების, შესაბამისი ანგარიშების და პროექტის დიზაინის კონცეფციის წარმოდგენის შემდეგ, შემსყიდველი ან ხელშეკრულებით განსაზღვრული შემსყიდველის უფლებამოსილი პირი დააზუსტებს პირველ ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის პარამეტრებს, მასშტაბებსა და სავარაუდო გადაწყვეტებს, რის შემდეგაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება შემდგომი ეტაპის სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

II ეტაპი - ესკიზური პროექტი

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

- არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტის წარმოდგენა შენობის (ტერიტორიის) მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვების და შენობის შესაბამისი გაბარიტების გაანგარიშებით;
- არქიტექტურული განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური გეგმები და გენგეგმა (მასშტაბი 1:500; 1:1000) რომელშიც ჩართულია სამანქანო და საფეხმავლო მოძრაობის სქემები და სავარაუდო პარკინგი;
- არქიტექტურული ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები) – 1:100; 1:50; 1:25;
- ტერიტორიის მოწყობის გეგმები, ჭრილები, დეტალები (1:100; 1:50);
- საინჟინრო ნაწილი: ელექტროქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, გათბობა-გაგრილება (საჭიროების შემთხვევაში - ტენიანობა), ვენტილაცია, სუსტი დენები - სახანძრო სიგნალიზაცია და უსაფრთხოების პროექტი (სქემები, დეტალები, კვანძები - თითოეული მათგანი თავისი განმარტებითი ბარათით და სპეციფიკაციებით);
- ზოგადი განმარტებითი ბარათი (არსებული მდგომარეობისა და პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების აღწერით);
- ძველის სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი).
- ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა შემდეგი გრაფიკული და ტექსტური შემადგენლობით:
 - ა) საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება (გრაფიკული და ტექსტური მასალა);
 - ბ) საკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო ნაკვეთის საზღვრების, საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ჩვენებით (მასშტაბი 1:500 და 1:200);
 - გ) საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა, განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები (გრაფიკული, ტექსტური და ფოტომასალა);
 - დ) საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ფოტოგანშლები, საპროექტო ნაკვეთსა და ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მითითებით (ფოტომასალა).
 - ე) საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ანალიზი (გრაფიკული და ტექსტური მასალა), რაც მოიცავს:
 - ე.ა) განაშენიანების სტრუქტურის, მორფოლოგიისა და მასშტაბის, შენობანაგებობებისა და ღია სივრცეების კონფიგურაციის დახასიათებას, განაშენიანების სტრუქტურაში მათი განლაგების თავისებურების გამოვლენას;
 - ე.ბ) ძეგლებისა და ვიზუალური დომინანტების, ლანდშაფტისა და განაშენიანების სივრცით-არქიტექტურულ შეფასებას, მათი სივრცითი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას;
 - ე.გ) განაშენიანების მხატვრული და დეკორატიული ელემენტების აღწერას, მათ სტილისტურ და სემანტიკურ იდენტიფიკაციას. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს საპროექტო ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის სივრცით-გეგმარებითი და კომპოზიციური გადაწყვეტის შესახებ.
- ეზოს მოწყობის გეგმა;

- გალერიის ტერიტორიის კეთილმოწყობა და მცირე ფორმების ნახაზები;
- რენდერები და ფოტომასალა.

განსახლება: საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგრაფიულ გეგმებზე დატანილი იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გეგმა საკადასტრო საზღვრების, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების და კოდის მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ელექტრონულ, DWG ფაილში.

მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის საკითხები:

ა) საპროექტო არეალის საკადასტრო ინფორმაცია;

ბ) ფორმალურად დადასტურებული ინფორმაცია, პროექტი ახდენს თუ არა ზეგავლენას კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე. მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება და გადამოწმოს მიწის ნაკვეთების სტატუსი (რეგისტრირებული, არარეგისტრირებული, ლეგალიზებული, არალეგალიზებული, სახელმწიფო საკუთრება და სხვ.). მიწის ნაკვეთების ზუსტი ზომის (ფართობის) დასადგენად უნდა გადამოწმდეს საპროექტო ბუფერში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების ან/და შენობა-ნაგებობების სტატუსი. მიმწოდებელი ვალდებულია, რომ მოახდინოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისა და ადამიანების იდენტიფიცირება.

მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს საპროექტო ბუფერში მოქცეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებისა და გადამოწმების პროცესი უნდა განხორციელდეს მიმწოდებლისა და ადგილობრივი ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობით და უნდა ეფუძნებოდეს მიწის მფლობელებთან დაკავშირებით მათ მიერ (ადგილობრივი ხელისუფლება) მოწოდებულ ინფორმაციას. მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს თანხმობები იმ მესაკუთრეების, რომლებთანაც არსებობს შემხებლობა.

III ეტაპი - დეტალური პროექტი

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

- არქიტექტურული ნაწილი:
- არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც გენერალური გეგმის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების შესახებ;
- ტოპოგრაფიული გეგმა;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- ობიექტის სიტუაციური გეგმა წვრილ მასშტაბში ქალაქის ინფრასტრუქტურის ჩვენებით მასშტაბი (1:5000 ან 1:10 000);
- ობიექტის გენერალური გეგმა მსხვილ მასშტაბში საჭიროების შემთხვევაში (1:200 ან 1:500);
- ძეგლის რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტი: განმარტებითი ბარათი(პრობლემის გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); სამუშაო ნახაზები: გეგმები (მათ შორის ფუნქციების ჩვენებით- საგამოფენო სივრცეები, ფონდსაცავი და სხვ.), ჭრილები, ფასადები, ინტერიერის განშლები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:50;

- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფუნქციონალური გეგმები სათავსების დანიშნულების მითითებით, მასშტაბი 1:50 ;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის გრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი 1:50;
- შენობა-ნაგებობის სახურავის გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი 1:50, წყალგადამყვანების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის კედლებისა და ტიხრების მარკირების გეგმები მათი ტიპების ჩვენებით, მასშტაბი 1:50, კედლებისა და ტიხრების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის იატაკების და ჭერების მოპირკეთების გეგმები მოპირკეთების ტიპების ჩვენებით, მასშტაბი 1:50, იატაკების და ჭერების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის კედლების შიგა მოპირკეთების მარკირების გეგმები მასშტაბი 1:50, კედლების მოპირკეთების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ღიობების მარკირების გეგმები და კარ-ფანჯრების ტიპები მასშტაბი 1:50, კარ-ფანჯრების ტიპების დეტალური ნახაზები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20) ნაკეთობების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, სახურავის კვანძები და სხვა დეტალები) მასშტაბი (1:5, 1:10 ან 1:20);
- შენობის საევაკუაციო გეგმები მასშტაბი 1:50;
- სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (ე.წ. რენდერები მაღალი რეზოლუციით);
- კონსტრუქციული ნაწილი:
- სრული გეოლოგიური კვლევა, ტოპოგრაფიულ გეგმაზე გაბურღვის წერტილების დატანით, ნიადაგის ჭრილების ნახაზები ფენების მითითებით, ლაბორატორული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები;
- კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება, სათანადო ანგარიშები, დატვირთვების და საანგარიშო მონაცემების მითითებით;
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები.
- ინტერიერის ნაწილი:
- ინტერიერის ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დასაგეგმარებელი სივრცეების შესახებ;
- სართულების გეგმები, მასზე ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის სხვადასხვა კომპონენტების ზუსტი ადგილმდებარეობის ჩვენებით 1:50;

- ჭერის და იატაკის მოპირკეთების გეგმები, ჭერების რეფლექტური გეგმები მათზე ყველა საინჟინრო სისტემის ელემენტებისა თუ სხვა კომპონენტების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით მ. 1:50;
- სივრცეების ყველა კედლის განშლები: უნდა ასახავდეს განთავსებული ავეჯის სიმაღლეებს, კედლების მოსაპირკეთებელ მასალებს, სანიტარული მოწყობილობების ადგილებს და სხვა დიზაინერულ ელემენტებს რომლებიც მუდმივად მაგრდება კედელზე 1:50;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;
- განათების სპეციფიკაცია და რაოდენობა ფოტომასალით.
- ელექტრული ნაწილი:
- ელექტრული ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების ელექტონერგიაზე მოთხოვნილება (დადგმული და მოთხოვნილი სიმძლავრეების მნიშვნელობები), დაგეგმარებული ელ. ქსელების კატეგორია, ტიპი და ელ. გაყვანილობის მონტაჟის წესი. აქვე უნდა იყოს მოცემული ასევე დამიწების კონტურების (ძირითადი და მეორადი) გაანგარიშება;
- შენობა-ნაგებობების განათების შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ავარიული განათების შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო და სერვისული ელექტრო ფარების სქემები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების კრიტიკული (საპასუხისმგებლო) ნაწილების და ავარიული განათების ქსელების უწყვეტი კვებით უზრუნველყოფის სისტემების სქემები (უწყვეტი კვების ბლოკები, აკუმულატორები და ა.შ.), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების მთავარი და სერვისული ელ. ფარების, და უწყვეტი კვების წყაროების შეერთების ბლოკ-სქემა;
- შენობა-ნაგებობების ლითონის ნაწილების დამიწების (პოტენციალთა გათანაბრების) კონტურის ნახაზები და შესაბამისი სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები-საჭიროების შემთხვევაში;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ელექტრო უზრუნველყოფაში, განახლებადი ენერჯის გამომყენებელი სისტემების სქემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ობიექტის შიდა-სამოედნო ელ. ქსელების გეგმები (ძალოვანი ქსელი, ტერიტორიის განათება, მეორადი დამიწების ქსელი), საკაბელო ტრანშეების ჭრილები, საკაბელო ჟურნალი, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- სარეზერვო კვების გენერატორის სამონტაჟო ნახაზები;
- დამიწების მეორადი კონტურის ნახაზები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის მთავარი ფარის სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;

- ობიექტის ელ. მომარაგების საერთო ბლოკ-სქემა (მთავარი მკვებავი ხაზის, ობიექტის მთავარი ელ. ფარის, გენერატორის, შიდა სამოედნო ელ. ქსელების, და შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო ფარების შეერთების სქემა).
- სუსტდენიანი სისტემები:
- სუსტდენიანი სისტემების განმარტებითი ბარათები, რომელშიც მოცემული იქნება
- დაგეგმარებული ქსელების (სატელეფონო, კომპიუტერული, სახანძრო სიგნალიზაციის, დაშვების კონტროლისა და ვიდეო მეთვალყურეობის ქსელები) დახასიათება. აქვე იქნება მოცემული შენობებში დაგეგმარებული სუსტდენიანი სისტემების მოთხოვნილება კავშირგაბმულობის მუნიციპალური ქსელების მხარდაჭერაზე (საჭირო სატელეფონო წყვილების რაოდენობა, ინტერნეტ-კომუნიკაციის საჭირო პარამეტრები);
- შენობა-ნაგებობების შიდა სატელეფონო ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის და შენობა-ნაგებობების სატელეფონო ქსელების ბლოკ-სქემები;
- ობიექტის შიდა სამოედნო სატელეფონო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა კომპიუტერული ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა კომპიუტერული ქსელების ბლოკ-სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის და შენობა-ნაგებობების სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ბლოკ-სქემები. ობიექტის შიდა სამოედნო სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა დაცვითი სიგნალიზაციის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა დაცვითი სიგნალიზაციის ქსელების ბლოკ-სქემები;
- შენობა-ნაგებობების დაშვების კონტროლის შიდა სისტემების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტისა და შენობა-ნაგებობების დაშვების კონტროლის სისტემების ბლოკ-სქემები;
- ობიექტის დაშვების კონტროლის სისტემების შიდა სამოედნო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ვიდეო-თვალთვალის შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტისა და შენობა-ნაგებობების ვიდეო-თვალთვალის ქსელების ბლოკ-სქემები;
- ობიექტების ვიდეო-თვალთვალის შიდა სამოედნო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები.
- სანტექნიკური ნაწილი:
- სანტექნიკური ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული ქსელების დახასიათება. აქვე მითითებული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების მოთხოვნილება სასმელ ცივ და ცხელ წყალზე (დღე-ღამური, წუთობრივი და წამობრივი ხარჯი), და შესაბამისი საკანალიზაციო ჩამონადენების რაოდენობა. მოცემული იქნება ასევე მოთხოვნილება ხანძარქრობისათვის საჭირო ტექნიკურ წყალზეც;

- შენობა-ნაგებობებში სანტექნიკური მოწყობილობების განლაგების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- ცხელი წყლის მოსამზადებელი კვანძის (საბოილერე მეურნეობა) გეგმა და სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი ობიექტის შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების (სასმელი წყალი, სახანძრო წყალსადენი, სარწყავი სისტემა, ფეკალური კანალიზაცია, სანიაღვრე კანალიზაცია) გეგმები (მასშტაბი 1:200, 1:500). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების გრძივი პროფილები, ტრანშეების ჭრილები, საკონტროლო და საკომუნიკაციო ჭების ნახაზები და სქემები, წყლის ხარჯის გამზომი კვანძის სქემა. სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- სასმელი და სახანძრო წყლის სამარაგო მეურნეობის ნახაზები და სქემები (საჭიროების შემთხვევაში). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები.
- ტექნოლოგიური ნაწილი (საჭიროების შემთხვევაში):
- ტექნოლოგიური ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი;
- სართულებისა თუ ფუნქციონალური ზონირების მიხედვით ტექნოლოგიური გეგმები ავეჯის, ინვენტარის, აპარატურის, მოწყობილობა-დანადგარების ზუსტი განლაგების ჩვენებით;
- ინვენტარის, აპარატურის, მოწყობილობა-დანადგარების სპეციფიკაციები;
- სამგზავრო და სატვირთო ლიფტების (ან ესკალატორი) განთავსების გეგმები, ჭრილები, ტექნოლოგიური სქემები და სპეციფიკაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).
- გათბობა, კონდიციონერება, ვენტილაციის ნაწილი:
- გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული სისტემების დახასიათება. აქვე იქნება მოყვანილი ცნობები სამშენებლო მოედნის მეტეოროლოგიური პირობების, გადამღობი კონსტრუქციების (იატაკები, კედლები, სახურავი, კარ-ფანჯრები და სხვ.) თბოსაიზოლაციო თვისებების და თბურ ენერგიასა (სითბო/სიცივე) და სუფთა ჰაერზე შენობის საერთო მოთხოვნილების შესახებ. განმარტებითი ბარათის დანართის სახით, მოცემული იქნება მთავარი შენობის თბოდანაკარგების, თბომენაკადების და საჭირო სუფთა ჰაერის რაოდენობის კალკულაციის ცხრილები;

- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის პრინციპიალური და აქსონომეტრიული ან 3D სქემები;
- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გამანაწილებელი კოლექტორების სქემები;
- მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის აქსონომეტრიული ან 3D სქემები;
- სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის გეგმა (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საქვებისა და ჩილერების ანსათავსებელი პლატფორმის აღჭურვა);
- სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის აქსონომეტრიული ან 3D სქემა;
- შიდასამოედნო თბოქსელის ნახაზები (საჭიროების შემთხვევაში), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- სავენტილაციო დანადგარები აუცილებლად შერჩეული უნდა იქნეს ენერგოეფექტური, რომელშიც იქნება დამონტაჟებული რეკუპერატორი;
- შიდა გათბობა გაგრილების ხელსაწყოდ მიღებულ უნდა იქნეს მაღალი დონის ფანკოილები, ან სხვა რაიმე იგივე პირობების შემცველი შიდა ხელსაწყოები;
- ყველა შიდა ხელსაწყო უნდა უზრუნველყოფდეს მინიმალურ ხმაურის დონეს. იქნება ეს ცხაურები, ფანკოილები, დიფუზორები თუ სხვა.
- საჭიროებისამებრ, სტანდარტის მიხედვით სათავსში დაცული უნდა იყოს ტენიანობის საჭირო მაჩვენებელი.
- მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი:
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი;
- სამშენებლო გენერალური გეგმა (მასშტაბი 1:500) დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულედნები, დროებითი გზები და სამშ. ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ.) ჩვენებით;
- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.
- სპეციფიკაციების ნაწილი:
- გამოყენებული სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობების და დანადგარების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროცესების თანმიმდევრობითი დეტალური აღწერა ტექნოლოგიური თავისებურებების მითითებით, მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით;
- ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა;

- სპეციფიკაციების უნდა დამუშავდეს საპროექტო დოკუმენტაციის ყველა ზემოთჩამოთვლილი ნაწილისათვის.
- სახარჯთაღრიცხვო ნაწილი:
- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, ტერიტორიის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა);
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა;
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.
- ექსპლუატაციის პროექტის ნაწილი:
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, ელექტროენერჯის შესყიდვაზე;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, ბუნებრივი აირის შესყიდვაზე;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, დიზელის საწვავის შესყიდვაზე ენერგო უზრუნველყოფისათვის ავარიულ რეჟიმში;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, სასმელი და ტექნიკური წყლის შესყიდვაზე;
- ძირითადი დანადგარების (გენერატორი, უწყვეტი კვების ბლოკები, გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემები) მომსახურების საშუალო წლიური ხარჯები;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, დასუფთავების მომსახურებაზე და სანიტარულ უზრუნველყოფაზე;
- შენობა-ნაგებობების ძირითადი ელემენტებისათვის მიმდინარე შეკეთების პერიოდულობა და მათი ერთდროული ხარჯები;
- შენობა-ნაგებობების სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდის განსაზღვრა კაპიტალურ შეკეთებამდე;
- ინფორმაცია მიწის გადასახადის და სხვა საბიუჯეტო მოსაკრებლების საშუალო წლიური ხარჯების შესახებ;
- ტექნიკური სპეციფიკაციები ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/მიმწოდებლისთვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.
- პროექტის ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სათანადო კვალიფიკაციისა და დარგში აღიარებული ექსპერტების მიერ, შესაბამისად ექსპერტიზის ჩატარებამდე საექსპერტო დაწესებულება ან ექსპერტები წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ, საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად სამშენებლო ობიექტი განისაზღვრება მე-5 კლასის კატეგორის ობიექტად, პროექტის ექსპერტიზა სავალდებულოდ უნდა ჩატარდეს ტექნიკური რეგლამენტის - განსაკუთრებული

მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის თანახმად რეგისტრირებული ექსპერტების მიერ.

- მომსახურების III ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილებით განსაზღვრული, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისა და კონსტრუქციული სქემის/პროექტის საექსპერტო დასკვნები.
- საპროექტო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული უნდა იყოს შენობის მოვლა- შენახვის სავარაუდო ხარჯები.

III ეტაპით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

გარემოსდაცვითი მოთხოვნები: მიმწოდებელმა პროექტის შემუშავების ყველა ეტაპზე უნდა გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები.

მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმა. გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია (თუმცა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ ინფორმაციით):

- ინფორმაცია სახიფათო გეოლოგიური პროცესების მიწისქვეშა წყლების ადგილმდებარეობის შესახებ და ა.შ.);
- პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენების (ინერტული, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სახიფათო) იდენტიფიცირება, მოცულობების განსაზღვრა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად განთავსების შესაძლო ადგილების მოძიება, სადაც შესაძლებელი იქნება ზედმეტი მასალების/გრუნტის, სამშენებლო ნარჩენების განთავსება, მოკლე აღწერა შემოთავაზებული ადგილების (საკადასტრო ინფორმაციის ჩათვლით) და რუკა;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარის აღწერა, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების იდენტიფიცირება.

ნარჩენების უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (დროებითი დასაწყობება, ტრანსპორტირება, საბოლოო განთავსება) ასახული უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვაში.

იმ შემთხვევაში თუ პროექტის განხორციელების შედეგად წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არა სახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენი, უნდა მომზადდეს ნარჩენების მართვის გეგმა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად;

იმ შემთხვევაში თუ ქვე-პროექტის ფარგლებში საჭირო გახდება ხეების მოჭრა, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაცია და ხეების აღრიცხვის უწყისი.

IV ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგი.
- მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება- შეთანხმებაში.
- შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები (არქიტექტორი, რესტავრატორი, კონსტრუქტორი და ა.შ) მშენებლობის მიმდინარეობისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.
- მოამზადოს და პერიოდულად წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ანგარიშები.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ, დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (სამუშაო) დღის ვადაში უზრუნველყოს პერიოდულ ანგარიშებზე დაყრდნობით საბოლოო, შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება IV ეტაპის (სავტორო ზედამხედველობა) მიღება-ჩაბარება.

მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი:

მომსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით, დასაპროექტებელი ობიექტი ალბომების სახით.

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, ან DXF PLN გაფართოების ფაილი, ArchiCAD, ან AutoCAD და PDF ფაილი, კომპაქტური დისკებით (CD, ან DVD სახით), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების ალბომების სახით (A4 და A3 ფორმატში), თითოეული კონცეპტუალური პროექტის და საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ვერსიები წარდგენილი უნდა იყოს 4 (ოთხი) ეგზემპლარად, ალბომების სახით. ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ, ხელმოწერებით.